რეფორმეტრი

ტურიზმის რეფორმის პროგრესის შეფასებითი ანგარიში

ივნისი, 2023

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის საგრანტო აქტივობა: რეფორმების პროგრესის მონიტორინგის სისტემა „რეფორმეტრის“ მხარდაჭერა

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. ანგარიშის შინაარსი შესაძლოა არ წარმოადგენს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

ტურიზმის რეფორმის შესახებ 3

რეფორმეტრის მეთოდოლოგია 4

რეფორმის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შეფასება 5

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა 10

საჯარო-კერძო დიალოგი 10

ტურიზმის რეფორმის შეფასების ინდიკატორები 13

1. ტურიზმის რეფორმის შეფასების ზოგადი ინდიკატორები 13

1.1. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები 13

1.2. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 13

2. ტურისტული სერვისების მრავალფეროვნება, მომხმარებელთა დაცვა და მომსახურების მაღალი ხარისხი 14

2.1. მაღალმხარჯველიანი ტურისტების მოზიდვა 14

2.2. ტურისტული სერვისების მრავალფეროვნება 15

2.3. ტურისტული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა 18

დანართი N1. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი 20

დანართი N2. ტურიზმის რეფორმის შესახებ საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაცია 21

ტურიზმის რეფორმის შესახებ

ტურიზმის რეფორმა მოიცავს საქართველოს პარლამენტში ინიცირებული „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებს და აგროტურიზმისა და ღვინის ტურიზმის სტატუსის მქონე სუბიექტებისათვის დაგეგმილი საგადასახადო შეღავათების მიმართულებას. რეფორმა მიზნად ისახავს, მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზების განვითარების ხელშეწყობას, ტურისტული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას. ასევე რეფორმა მიმართულია, პოლიტიკის კოორდინაციისა და საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე, რეგიონულ დონეზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე.

რეფორმის განხორციელების საჭიროება ტურიზმის დარგში არსებული მოძველებული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, რომელიც 1997 წელს არის მიღებული და ვერ პასუხობს სექტორში არსებულ თანამედროვე გამოწვევებს. მოქმედ კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული ტურისტული მომსახურების ხარისხის საკითხები, მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის მიმართულება, ასევე ტურისტული საქმიანობის აღრიცხვის სისტემა. დამატებით, კანონის მიღება საჭიროა ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით. ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების უზრუნველყოფისათვის, კანონი ითვალისწინებს მომხმარებელთა დაცვის შესახებ 2009 წლის 14 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/122/EC დირექტივის და საგზურით მოგზაურობისა და კომბინირებული სამოგზაურო მომსახურებების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის (EU) 2015/2302 დირექტივის იმპლემენტაციას.

რეფორმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართულია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

რეფორმა მოიცავს ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე დანიშნულების მართვის ორგანიზაციების შექმნის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრას, ტურისტული საქმიანობის აღრიცხვის სისტემის შემუშავებას, ტურისტული მომსახურების მაღალი ხარისხისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მაღალკვალიფიციური სამთო გიდებისა და მაღალი რისკის (სათავგადასავლო) მომსახურებების უსაფრთხო მიწოდების უზრუნველყოფას, ტურისტული გიდების განათლების/კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას, ტურისტულ პაკეტთან და მოგზაურობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის უნიფიცირებული სტანდარტის შემუშავებას. დამატებით, კანონპროექტით გათვალისწინებული სათავგადასავლო ტურიზმის საქმიანობის განვითარებასთან ერთად, მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზების მიწოდების ხელშეწყობისათვის დაგეგმილია აგროტურიზმისა და ღვინის ტურიზმის სტატუსის მქონე სუბიექტებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება.

რეფორმეტრის მეთოდოლოგია

რეფორმეტრის ფარგლებში, შერჩეული რეფორმების შეფასებისათვის გამოყენებულია სამი ძირითადი ინსტრუმენტი:

1. სამთავრობო კვლევა ხარისხობრივი გამოკითხვის გზით აფასებს რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმის დამნერგავი სამთავრობო უწყებების საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი; ინსტიტუციური მოწყობა; კომპეტენციის გაძლიერება. აღნიშნული გამოკითხვა 0-100% შუალედში ზომავს რამდენად ახლოს არიან რეფორმის დამნერგავი უწყებები რეფორმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან.

2. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ფარგლებში რეფორმის დაინტერესებული მხარეები შეფასებას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა; რეფორმის სფეროში არსებული ვითარება; რეფორმის დანერგვაში მიღწეული პროგრესი; რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. თითოეული კომპონენტი 10 ქულიან შკალაზე ფასდება (დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი დანართ 1).

3. დამატებით, რეფორმის პროგრესის შესაფასებლად გამოყენებულია რეფორმის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული ეკონომიკური ინდიკატორები.

ტურიზმის რეფორმის შეფასება მოიცავს ზემოთ ხსენებულ სამივე მიმართულებას. იმის გათვალისწინებით, რომ რეფორმა განხორციელების საწყის ეტაპზეა, სამთავრობო კვლევა, ძირითადად დაგეგმილი აქტივობებისა და სამომავლო პროგრესის შეფასების მიმართულებების იდენტიფიცირებაზე იყო მიმართული, რის საფუძველზეც, შემდეგი საჯარო და კერძო დიალოგის შეხვედრაზე, შევაფასებთ რეფორმის დანერგვის პროგრესს.

ტურიზმის რეფორმის პირველი შეფასებითი შეხვედრა, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ფორმატში 2023 წლის 18 მაისს ჩატარდა. რეფორმეტრის ფარგლებში, 2023-2024 წლებში კიდევ ორი მსგავსი შეხვედრა გაიმართება.

რეფორმის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შეფასება

ტურიზმის რეფორმის მიმდინარე და სამომავლო აქტივობების განსაზღვრის მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებები სამი ძირითადი მიმართულებით დაჯგუფდა. დაგეგმილი აქტივობების პირველი მიმართულება, ტურიზმის სექტორში ეროვნულ და რეგიონულ დონეზე კოორდინაციის უზრუნველყოფასა და მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზების განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობებს მოიცავს. მეორე მიმართულება, ტურისტული გიდებისა და სამთო-სათავგადასავლო ტურიზმის გამყოლების საქმიანობას ეხება, ხოლო მესამე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების უზრუნველყოფასა და სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირებაზე არის მიმართული. წარმოდგენილი მიმართულებებისა და სამთავრობო კვლევის ნაწილში განსაზღვრული რეფორმის შეფასების ოთხი ძირითადი კომპონენტის (საკანონმდებლო ჩარჩო, ინსტიტუციური მოწყობა, ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი, კომპეტენციების გაძლიერება) გათვალისწინებით, ცხრილებში 1, 2 და 3 წარმოდგენილია ინფორმაცია რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი აქტივობებისა და პასუხისმგებელი უწყებების შესახებ.

ცხრილი 1: ტურიზმის სექტორში ეროვნულ და რეგიონულ დონეზე კოორდინაციის უზრუნველყოფასა და მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზების განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები

აქტივობა	**განხორციელების ვადა**	**პასუხისმგებელი ორგანო**
	საკანონმდებლო ბაზა	
„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება	2023 წელი	საქართველოს პარლამენტი
ტურისტული დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესის დამტკიცება	2024 წლის 1 ივნისი	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობების პრინციპები, საქმიანობის სუბიექტების სტატუსის მინიჭების/გაუქმების წესის და პროცედურების დამტკიცება	2024 წლის 1 ივნისი	საქართველოს მთავრობა
საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანა აგროტურიზმის და ღვინის ტურიზმის სტატუსის მქონე სუბიექტებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება	2024 წელი	საქართველოს პარლამენტი
„საკურორტო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პარლამენტში წარდგენა	2024 წლის 1 ივნისი	საქართველოს მთავრობა
„საკურორტო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება	2024 წელი	საქართველოს პარლამენტი

ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი		
ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციების (DMO) საქმიანობისთვის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა	მიმდინარე	მუნიციპალიტეტები
ტურისტული საქმიანობის სუბიექტების რეესტრის შექმნა	2023 წელი	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ინსტიტუციური მოწყობა		
DMO-ების სტატუსის მქონე ორგანიზაციების შექმნა	მიმდინარე / შექმნილია 5 რეგიონში	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
რეგიონების მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება	მიმდინარე	ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები

ცხრილი 2: ტურისტული გიდებისა და სამთო-სათავგადასავლო ტურიზმის გამყოლების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები

აქტივობა	**განხორციელების ვადა**	**პასუხისმგებელი ორგანო**
საკანონმდებლო ჩარჩო		
მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების სიისა და ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცება	2024 წლის 1 ივნისი	საქართველოს მთავრობა
სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის საქმიანობის სფეროებისა და კომპეტენციების შესახებ რეგლამენტის დამტკიცება	2024 წლის 1 ივნისი	
სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესისა და პირობების, ასევე მაღალი რისკის ტურისტული მომსახურებების სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დამტკიცება	2024 წლის 1 ივნისი	საქართველოს მთავრობა
აკრედიტებული პირის მიერ სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის სერტიფიცირების რეესტრის წარმოების წესის და რეესტრის ფორმის დამტკიცება	2027 წლის 1 მაისი	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ფორმის დამტკიცება	2024 წლის 1 ივნისი	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი მოწმობის ნიშნის გაცემისა და გაუქმების წესისა და პირობების, მოწმობის ნიშნის ფორმის დამტკიცება	2027 წლის 1 ივნისი	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი		
სერტიფიცირებული სამთო გამყოლების რეესტრის შექმნა	2027 წლის 1 მაისი	პერსონალის სერტიფიცირების აკრედიტირებული იურიდიული პირი
გიდების მაიდენტიფირიცირებელი ნიშნის და ტუროპერატორების გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის ვალდებულებების მართვის მიზნით გარკვეული სერვისების გაციფრულებისათვის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა -70-დან 162 ათას ლარამდე	2027 წელი	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სსიპ აკრედიტაციის ცენტრი
ინსტიტუციური მოწყობა		
სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის სერტიფიცირების იურიდიული პირის აკრედიტაცია	2024 წლის 1 ივნისიდან	სსიპ აკრედიტაციის ცენტრი
კომპეტენციების გაძლიერება		
სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლების სერტიფიცირება	2024 წლის 1 ივნისიდან	პერსონალის სერტიფიცირების აკრედიტირებული იურიდიული პირი
ტურისტული გიდების კვალიფიკაციის ამაღლება	2027 წლის 1 ივნისი	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სსიპ აკრედიტაციის ცენტრი

ცხრილი 3: მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების უზრუნველყოფასა და სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირებასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები

აქტივობა	**განხორციელების ვადა**	**პასუხისმგებელი ორგანო**
საკანონმდებლო ბაზა		
გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის გამოყენების წესისა და პროცედურების დამტკიცება	2027 წლის 1 ივნისი	სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გაყიდვისა და	2026 წლის 1 ივნისი	საქართველოს მთავრობა

გადაცვლის ხელშეკრულების სტანდარტული საინფორმაციო ფორმის მიღება		
ტურისტულ პაკეტთან დაკავშირებული სტანდარტული ფორმების დამტკიცება	2026 წლის 1 ივნისი	საქართველოს მთავრობა
ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი		
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კომპეტენციის გაფართოების უზრუნველყოფისთვის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა • DMO-თან დაკავშირებული საქმიანობა - 25,634 ლარი (2025) • გიდების სერტიფიცირება - 94, 886 ლარი (2023-2025 წლები). • გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული ახალი დეპარტამენტი - 362,191 ლარი (2023-2025 წლები) • მომხმარებელთან კომუნიკაციის მიზნით ქოლ ცენტრის განვითარება - 555,183 ლარი (2023-2025 წლები)	2023-2025	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სსიპ აკრედიტაციის ცენტრი
კომპეტენციების გაძლიერება		
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	2023 წლიდან	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სსიპ აკრედიტაციის ცენტრი
ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით, ტურაგენტებისა და ტუროპერატორებისთვის ცნობიერების ამაღლება	2024-2026 წლები	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სსიპ აკრედიტაციის ცენტრი

რეფორმის დამნერგავ უწყებებთან ჩატარებული ხარისხობრივი კვლევის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ ტურიზმის სექტორში დაგეგმილი რეფორმა საწყის ეტაპზეა. რეფორმის განხორციელება „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში ინიცირებით დაიწყო.

კანონპროექტით გათვალისწინებული მიმართულებებიდან, პროგრესია ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ამჟამად ხუთ რეგიონში, იმერეთში, სვანეთში, სამეგრელოში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში უკვე შექმნილია DMO-ები. კანონპროექტით გათვალისწინებულია, დანიშნულების მართვის ორგანიზაციებისათვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების წესის განსაზღვრა და მათი უფლებამოსილებების დადგენა. ამასთანავე, კანონპროექტი მიზნად ისახავს მათ საქმიანობაში საჯარო უწყებებთან ერთად (მუნიციპალიტეტები და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია)

კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფას. თუმცა საჯარო სექტორის წარმომადგენლების გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე, კერძო სექტორს, ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციებში ჩართულობის დაბალი ინტერესი აქვს. „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, 2025 წლისათვის, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დამატებით კადრის აყვანა იმ შემთხვევაში დასჭირდება, თუ მოხდება DMO-ების გაძლიერება და მათი აქტივობების გაფართოება.

ტურიზმის რეფორმის სხვა მიმართულებების განხორციელება ეტაპობრივად, 2023-2027 წლების პერიოდში იგეგმება. 2023 წლიდან სავალდებულო გახდება ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში ტურისტული საქმიანობის სუბიექტების რეგისტრაცია. 2024 წლის ივნისში დაგეგმილია, მაღალი რისკის და სათავგადასავლო გამყოლების სავალდებულო დაზღვევის, ასევე სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლების სერტიფიცირების სისტემის ამოქმედება. 2026 წლისათვის იგეგმება ტურისტული პაკეტის და კომბინირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებასთან, დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვისა და გაცვლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დებულებების ამოქმედება. 2027 წელს კი ტურისტული გიდის საქმიანობის რეგულირება.

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა

ტურიზმის რეფორმაზე ჩატარებული საჯარო და კერძო დიალოგის შეხვედრაზე დაინტერესებული მხარეების (რეფორმის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების გარდა) ანონიმური გამოკითხვის საფუძველზე, რეფორმა 10 ქულიდან 7.15 ქულით შეფასდა, რაც შეხვედრის მონაწილეების მიერ რეფორმის მიმდინარეობის დადებით შეფასებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 1-ში წარმოდგენილია დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა, რეფორმის პროგრესი და მოსალოდნელი შედეგები დადებითად შეფასდა. არსებული ვითარების მიმართულებით კი ზომიერი შედეგი დაფიქსირდა.

დიაგრამა 1. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები ტურიზმის რეფორმის შეფასებაზე



საჯარო-კერძო დიალოგი

ტურიზმის რეფორმაზე გამართულ პირველ საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, კურორტების განვითარების სააგენტოს, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტეროტორიების სააგენტოს, იმერეთის ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის, საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, საქართველოს ტურიზმის ასოციაციის, საქართველოს გიდების ასოციაციის, ტურიზმის ინსტიტუტის, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის, გალტ & თაგარტის, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის ელკანას, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, USAID/საქართველოს და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის წარმომადგენლებმა.

ღონისძიების გახსნითი ნაწილის შემდეგ რეფორმეტრის გუნდმა ტურიზმის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები და პროგრესის შეფასების ინდიკატორები წარადგინა, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ და ტურიზმის რეფორმის განვითარებაში ჩართულმა სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა სექტორში არსებულ მდგომარეობაზე, შემოთავაზებულ

ცვლილებებსა და რეფორმის მოსალოდნელ შედეგებზე ისაუბრეს. ანგარიშის მოცემულ ნაწილში შეჯამებულია PPD ღონისძიებაზე გამოთქმული მოსაზრებები:

- დისკუსიის დროს, მონაწილეებმა ყურადღება პოსტ-პანდემიურ პერიოდში ტურიზმის სექტორის აღდგენასა და ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს საჭიროებაზე გაამახვილეს. დაინტერესებულმა მხარეებმა ხაზი გაუსვეს კონკურენტული ტურისტული სერვისების განვითარების საჭიროებას. განხილვის ძირითადი ნაწილი სათავგადასავლო ტურიზმის, ეკოტურიზმისა და მდგრადი ტურიზმის განვითარებაზე იყო მიმართული. დისკუსია სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების საკითხის გარშემო, სექტორში უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესების მიმართულებაზე ფოკუსირდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის განცხადებით, საჭიროა საქართველოს რესურსების ეფექტიანი გამოყენება გლობალურ დონეზე კონკურენტუნარიანი სერვისების განვითარების მიზნით. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სათავგადასავლო ტურიზმში უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავებაზე, რის შედეგადაც, აღნიშნულ მიმართულებაზე მოთხოვნის ზრდა არის მოსალოდნელი.
- რეგიონებში ტურიზმის განვითარების საკითხთან დაკავშირებით განხილვა მიმართული იყო დეცენტრალიზაციისა და საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის წახალისების პროცესში, ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციების როლზე.
- ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებმა განიხილეს გიდების სავალდებულო და ნებაყოფლობით სერტიფიცირებაზე შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებული გამოწვევები. ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსის დამფუძნებელმა ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს მხრიდან გიდების სერტიფიცირების წახალისებისა და კერძო სექტორისათვის სერტიფიცირების პროცესის საზედამხედველო ფუნქციის მინიჭების მნიშვნელობაზე. შეხვედრაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ აღნიშნა, რომ გიდების სერტიფიცირების აღსრულების პროცედურები კანონქვემდებარე აქტებში გაიწერება. მონაწილეები შეთანხმდნენ აღნიშნული აქტების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აუცილებლობაზე. დამატებით, ტურიზმის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ტურიზმის პოლიტიკის დეცენტრალიზაციის საჭიროებაზე ისაუბრა. ამ მიმართულებით ყურადღება, გიდების სერტიფიცირების მიმართულებით, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებაზე გამახვილდა.
- განხილვის კიდევ ერთი თემა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ტურაგენტებისა და ტუროპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების დაახლოება იყო. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის განცხადებით, ტურაგენტებისა და ტუროპერატორების რეგულირება ხელს შეუწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვას და უფრო მდგრადი და მაღალი ხარისხის სერვისების განვითარებას. ამ მიმართულებით, გამოწვევად ცვლილებებთან დაკავშირებით ტურაგენტებისა და ტუროპერატორების დაბალი ცნობიერება დასახელდა.
- დამატებით, შეხვედრაზე ხაზი გაესვა აგროტურიზმის მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებების სარგებელს. საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელმა, ფერმერებისათვის აგროტურიზმის განვითარების შედეგად წარმოქმნილ

შესაძლებლობებზე ისაუბრა და ყურადღება დამატებითი შემოსავლებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაზე გაამახვილა. ასევე, მომხსენებელმა აგროტურისტულ სერვისებზე მოსახლეობის დაბალ ცნობიერებასთან დაკავშირებული გამოწვევები განიხილა.

- დამსწრეებმა მრავალფეროვან ტურისტულ სერვისებზე სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობის პრობლემა განიხილეს. დაინტერესებულმა მხარეებმა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით, დამატებითი ინდიკატორების შემუშავების საჭიროებას გაუსვეს ხაზი. დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეკოტურიზმსა და სათავგადასავლო ტურიზმზე მოთხოვნა მზარდია, განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე და ხაზი გაუსვა ტურიზმის რეფორმის პროგრესის შეფასებაში, დაცულ ტერიტორიებზე არსებული სტატისტიკის გამოყენების საჭიროებას. მხარეებმა ხაზი გაუსვეს „რეფორმეტრის“ პროექტის მნიშვნელობას კანონის აღსრულების მონიტორინგის მიმართულებით და რეფორმის შედეგებისა და პროგრესის ზუსტი შეფასებისთვის, მომავალში ამ პროცესის შენარჩუნების საჭიროებას.

ტურიზმის რეფორმის შეფასების ინდიკატორები

ტურიზმის რეფორმის განხორციელების პროგრესის შეფასების მიზნით, რეფორმეტრის გუნდმა რამდენიმე ინდიკატორი შეარჩია. რეფორმის შეფასების ინდიკატორების პირველი ნაწილი მოიცავს ტურიზმის სექტორის განვითარების ზოგადი მაჩვენებლების შეფასებას, ხოლო მეორე ნაწილი ტურიზმის რეფორმის დებულებებთან დაკავშირებულ მიმართულებებზე დაკვირვებას.

1. ტურიზმის რეფორმის შეფასების ზოგადი ინდიკატორები

1.1. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები

ტურიზმის სექტორის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების დინამიკა წარმოადგენს. გრაფიკი 1-ის მიხედვით, 2020 წელს, პანდემიის შედეგად, ტურისტული ნაკადების 80%-იანი კლება ფიქსირდება. წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით დადებითია 2021-2022 წლების დინამიკა. 2022 წლისათვის, საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის აღდგენის მაჩვენებელმა, 2019 წელთან შედარებით, 60%-ს მიაღწია. საქართველოს ტურიზმის სტრატეგიით, 2025 წლისათვის, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების სამიზნე მაჩვენებელი 7,619,140 შეადგენს.

გრაფიკი 1. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

1.2. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი

პოსტ-პანდემიურ პერიოდში, ტურიზმის სექტორის განვითარების კიდევ ერთ ინდიკატორს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. გრაფიკი 2-ის მიხედვით, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს შემოსავლების 83%-იანი კლების შემდეგ, 2022 წლისათვის შემოსავალმა 3.5 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელს 8%-ით აღემატება. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად საქართველოში ჩამოსული მიგრანტები, რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან უფრო ხანგრძლივი დროით რჩებიან, რაც შესაბამისად აისახება მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ასეთ მკვეთრ ზრდაზე. საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის

მიხედვით, 2025 წლისათვის, ქვეყნის მიზანია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებელმა 5.3 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწიოს.

გრაფიკი 2. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2. ტურისტული სერვისების მრავალფეროვნება, მომხმარებელთა დაცვა და მომსახურების მაღალი ხარისხი

ტურიზმის სექტორში დაგეგმილი რეფორმის მიზანს მრავალფეროვანი ტურისტული სერვისების განვითარება, მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს. აღნიშნული თავის მხრივ, ქვეყანაში მაღალმხარჯველიანი ტურისტების მოზიდვის წინაპირობაა. შესაბამისად, რეფორმასთან დაკავშირებული შეფასების ეკონომიკური ინდიკატორების შერჩევისას გამოყენებულია ტურისტების წარმოშობის ადგილთან, ვიზიტორების საშუალო დანახარჯებთან და ვიზიტის ხანგრძლივობასთან, განხორციელებულ აქტივობებსა და დანახარჯების სტრუქტურასთან, ტურისტული პაკეტით სარგებლობისა და კმაყოფილების მაჩვენებლებთან დაკავშირებული მიმართულებები.

2.1. მაღალმხარჯველიანი ტურისტების მოზიდვა

საერთაშორისო ვიზიტორის დანახარჯების მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი წარმოშობის ქვეყნის განვითარებაზე. მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოზიდვა, მაღალი შემოსავლების ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ზრდას გულისხმობს. შესაბამისად, მაღალმხარჯველიანი ტურისტული ბაზრებიდან მოგზაურების მოზიდვის მიმართულებით, რეფორმის პროგრესის შეფასების ინდიკატორად საერთაშორისო ვიზიტებში შემოსავლების მიხედვით ქვეყნების განაწილება განისაზღვრა. გრაფიკი 3-ში, წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის ქვეყნების კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების განაწილება დაბალი შემოსავლების, საშუალოზე დაბალი, საშუალოზე მაღალი და მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან. 2019-2022 წლების

ტენდენციის მიხედვით, ტურისტების ძირითადი ნაკადი საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან შემოდის. მაღალმხარჯველიანი ტურისტების მოზიდვისათვის კი, მნიშვნელოვანია მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების წილის ზრდა. გასათვალისწინებელია, რომ 2019-2022 წლების პერიოდში, არსებული დინამიკა დიდ წილად პანდემიის გავლენით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, 2019 წელთან შედარებით მცირედით გაზრდილია (13%-დან 16%-მდე) მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების წილი.

გრაფიკი 3. საერთაშორისო ვიზიტების წილი ქვეყნების შემოსავლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, World Bank

ტურიზმიდან შემოსავლების ზრდის მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვანია ვიზიტების ხანგრძლივობისა და ვიზიტზე საშუალო დანახარჯის ინდიკატორების შეფასება. 2019-2022 წლების პერიოდში, გაორმაგებულია ვიზიტზე საშუალო დანახარჯის მაჩვენებელი, რაც ნაწილობრივ ვიზიტზე საშუალო ხანგრძლივობის ზრდასთან არის დაკავშირებული.

გრაფიკი 4. ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა და საშუალო დანახარჯი



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2.2. ტურისტული სერვისების მრავალფეროვნება

მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზებების განვითარების პროგრესის შეფასებისათვის შეირჩა სამი ინდიკატორი. პირველი მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მთლიან

დანახარჯებში რეკრეაციის, კულტურული და სპორტული აქტივობების მაჩვენებლებზე დაკვირვებას. დანახარჯების სტრუქტურა მოიცავს განთავსების, კვების, შოპინგის, ტრანსპორტის, რეკრეაციის, კულტურული და სპორტული აქტივობების და სხვა დანახარჯების კატეგორიას. წარმოდგენილი კატეგორიებიდან ტურისტული შეთავაზებების განვითარება კი, დაკავშირებულია შერჩეულ აქტივობაზე მომხმარებლების დანახარჯების ზრდასთან. გრაფიკი 5-ის მიხედვით, 2019-2022 წლებში, ამ მიმართულებით უარყოფითი ტენდენცია გამოიკვეთა და დანახარჯები 24%-ით შემცირდა. შედარებისათვის, ამ პერიოდში, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული მთლიანი ხარჯები 27%-ით არის გაზრდილი. რეკრეაციაზე, კულტურულ და სპორტულ აქტივობებზე დანახარჯების კლების შედეგად, 18%-დან 11%-მდეა შემცირებული აღნიშნული მიმართულების წილი მთლიან დანახარჯებში.

გრაფიკი 5. საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯები რეკრეაციაზე, კულტურულ და სპორტულ აქტივობებზე

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მრავალფეროვანი ტურისტული სერვისების განვითარება, ასევე ვიზიტორების მიერ განხორციელებული აქტივობების მაჩვენებლებში ისახება. ტურიზმის დარგში სათავგადასავლო შეთავაზებების ხარისხის ზრდისა და უსაფრთხოების სტანდარტის განვითარების ეფექტიანობის შეფასებისათვის, დასაკვირვებელ აქტივობებად განისაზღვრა სრიალის, ბუნების, ლანდშაფტების, ნაკრძალების მონახულებისა და მთასვლელობის კატეგორიები. გრაფიკი 6-ის მიხედვით, სრიალისა და მთასვლელობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების წილი მთლიან ვიზიტებში ძალიან მცირეა (შესაბამისად, 2% და 1.4%). შედარებით მაღალია ბუნების მონახულების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. 2022 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების 20%-მა მოინახულა ბუნების, ლანდშაფტისა და ნაკრძალის ტერიტორია. კიდევ ერთ აქტივობას, რომელიც აგროტურისტული სერვისების განვითარებასთან არის დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში ჩართულობა წარმოადგენს. 2022 წელს, ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობების რაოდენობამ 16,779, რაც 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით 75%-ით არის შემცირებული.

გრაფიკი 6. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული აქტივობები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრაზე გამოთქმული რეკომენდაციის შესაბამისად, რეფორმის მიმდინარეობის პროგრესის შეფასების ინდიკატორად ასევე განისაზღვრა დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების რაოდენობა. ბოლო წლებში, დაცულ ტერიტორიებზე სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების საფუძველზე, გაიზარდა მოთხოვნა მათ მონახულებაზე. აღსანიშნავია, რომ პანდემიის შედეგად, ვიზიტორების რაოდენობის 80%-იანი კლების შემდეგ, 2020 წლიდან ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. 2022 წლისათვის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტების აღდგენის მაჩვენებელმა 75% შეადგინა.

გრაფიკი 7. ვიზიტორების რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2.3. ტურისტული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ტურიზმის სექტორში დაგეგმილი რეფორმის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ტურაგენტებისა და ტუროპერატორების საქმიანობის რეგულირება, მომხმარებლებთან სახელშეკრულებო ურთიერთობები პირობების განსაზღვრა და მათი უფლებების დაცვა წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულებით, რეფორმის პროგრესის შეფასების ინდიკატორად საერთაშორისო ვიზიტორების მიერ ქართული ტურისტული კომპანიების პაკეტების გამოყენების მაჩვენებელი შეირჩა. მე-8 გრაფიკში იკვეთება, რომ საერთაშორისო ვიზიტორების მიერ ქართული ტურისტული კომპანიების სერვისების გამოყენების მაჩვენებელი ძალიან დაბალია და 2019-2022 წლების პერიოდში მცირედით არის შემცირებული. 2022 წელს ტურისტულმა კომპანიებმა საერთაშორისო ვიზიტორებზე სულ 33 ათასი პაკეტი გაყიდეს. საერთაშორისო ტურისტული კომპანიების მაჩვენებელი 8-ჯერ აღემატება ქართული ტურისტული კომპანიების მიერ საერთაშორისო ვიზიტორებზე გაყიდული პაკეტების რაოდენობას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზოგადად ვიზიტორების უმეტესობა ტურისტული პაკეტის გარეშე მოგზაურობს. 2022 წლის მაჩვენებლებით, უცხოური კომპანიების პაკეტები საერთაშორისო ვიზიტორების 5.9%-მა, ხოლო ქართული კომპანიების 0.7%-მა გამოიყენა. ტურიზმის რეფორმის განხორციელების შედეგად, მოსალოდნელია, რომ ტურისტული კომპანიების მომსახურების მაღალი სტანდარტის დაწესების შედეგად გაიზრდება მომხმარებელთა ნდობა ქართული ტურისტული კომპანიების მიმართ.

გრაფიკი 8. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ გამოყენებული ტურისტული პაკეტების რაოდენობა(ათასი) და % წილი (2022 წელი)



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მომხმარებელთა უფლებებისა და მომსახურების სტანდარტის მიმართულებით პროგრესის შეფასების კიდევ ერთ ინდიკატორს ტურისტული ვიზიტით კმაყოფილების მაჩვენებელი წარმოადგენს. 2019-2022 წლებში, ამ მიმართულებით დადებითი დინამიკა იკვეთება (გრაფიკი 9). ამ პერიოდში, კმაყოფილი ტურისტების რაოდენობა 3.6%-ით არის გაზრდილი. რეფორმის შედეგად, მოსალოდნელია, მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფით ტურისტული ვიზიტით კმაყოფილი მოგზაურების რაოდენობის ზრდა.

გრაფიკი 9. ტურისტული ვიზიტით კმაყოფილება



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

დანართი N1. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი

რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა

1. რამდენად შეესაბამება ტურიზმის რეფორმის მიზნები სექტორში არსებულ გამოწვევებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

2. რამდენად არის უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა რეფორმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

რეფორმის პროგრესი

3. როგორ შეაფასებდით ტურიზმის რეფორმის ფარგლებში დღეის მდგომარეობით განხორციელებულ ღონისძიებებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

4. რამდენად უწყობს ხელს რეფორმის ფარგლებში გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები ტურიზმის განვითარების შემზღუდველი ფაქტორების დაძლევას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

არსებული ვითარება

5. როგორ შეაფასებდით ტურიზმის სექტორში არსებულ მდგომარეობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

მოსალოდნელი შედეგები

6. მოხდება თუ არა რეფორმის განხორციელებით დასახული მიზნების მიღწევა?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

7. არის თუ არა რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზა?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

დანართი N2. ტურიზმის რეფორმის შესახებ საჯარო-კერძო დიალოგის შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაცია

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში

შენიშვნა: *ამ პრეზენტაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.*

დღის წესრიგი

- ტურიზმის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და პროგრესის შეფასების ინდიკატორების განხილვა
- ტურიზმის რეფორმის საჭიროების, სექტორში არსებული მდგომარეობისა და რეფორმის მოსალოდნელი შედეგების მიმოხილვა
- საჯარო-კერძო დიალოგი და რეფორმის შეფასება დაინტერესებული მხარეების მხრიდან

პროექტის შესახებ

- რეფორმეტრის მიზანია შერჩეული ეკონომიკური რეფორმების პროგრესის ანალიზი, რეფორმით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და რეფორმის განმახორციელებელი სამთავრობო უწყებების მხარდაჭერა რეფორმის ცნობადობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- რეფორმეტრის პირველი ფაზა: 2017-2019 წლები
- პროექტის ახალი ეტაპი: 2021-2024 წლები
- სამიზნე რეფორმები:
  - კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმა
  - საჯარო შესყიდვების რეფორმა
  - გადახდისუუნარობის რეფორმა
  - წყლის რესურსების მართვის რეფორმა
  - ელექტრონული კომერციის რეფორმა
  - ტურიზმის რეფორმა
  - რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმა
  - სახელმწიფო საწარმოების რეფორმა

პროექტის მეთოდოლოგია

1. **სამთავრობო კვლევა** - რეფორმის დანერგვაში ჩართული უწყებების მიერ რეფორმის პროგრესის შეფასება;

2. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა** - კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან დაინტერესებულ პირთა მიერ რეფორმის და მისი პროგრესის შეფასება;

3. **ეკონომიკური ინდიკატორები** - პროექტის გუნდის მიერ იდენტიფიცირებული ინდიკატორები რეფორმის მიმდინარეობასა და მიღებულ შედეგებზე დასაკვირვებლად

ტურიზმის რეფორმის მიზანი

- ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა
- ეროვნულ და რეგიონულ დონეზე კოორდინაციის უზრუნველყოფა
- მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზების განვითარება
- ტურისტული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა
- მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა

რეფორმის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებები

ტურიზმის რეფორმის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები

- საკანონმდებლო ჩარჩო
- ინსტიტუციური მოწყობა
- ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი
- კომპეტენციების გაძლიერება

- ეროვნულ და რეგიონულ დონეზე კოორდინაციის უზრუნველყოფა და მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზების განვითარება
- ტურისტული გიდებისა და სამთო-სათავგადასავლო ტურიზმის გამყოლების საქმიანობა
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების უზრუნველყოფა და სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირება

ეროვნულ და რეგიონულ დონეზე კოორდინაციის უზრუნველყოფა და მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზების განვითარება

საკანონმდებლო ჩარჩო

- ტურიზმის შესახებ კანონპროექტის მიღება
- DMO-ს სტატუსის მინიჭების წესის მიღება
- აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობების შესახებ დადგენილებების მიღება
- კურორტების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება

ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი

- DMO-ს საქმიანობისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები
- ტურისტული საქმიანობის სუბიექტების რეესტრის შექმნა

ინსტიტუციური მოწყობა

- DMO-ების სტატუსის მქონე ორგანიზაციების შექმნა
- რეგიონების მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება

კომპეტენციების გაძლიერება

ტურისტული გიდებისა და სამთო-სათავგადასავლო ტურიზმის გამყოლების საქმიანობა

საკანონმდებლო ჩარჩო	სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის საქმიანობის კომპეტენციების, სერტიფიცირების რეესტრის, მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გაცემის და სავალდებულო დაზღვევის წესების მიღება
	ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი მოწმობის ნიშნის გაცემის წესის მიღება
	მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების განსაზღვრისა და სავალდებულო დაზღვევის შესახებ წესების მიღება
ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	სერტიფიცირებული პირების რეესტრი
ინსტიტუციური მოწყობა	სერტიფიცირების ორგანოს აკრედიტაცია
კომპეტენციების გაძლიერება	სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლების სერტიფიცირება
	გიდების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების უზრუნველყოფა და სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირება

საკანონმდებლო ჩარჩო

- გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის რეგულირების წესების მიღება
- დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გაყიდვისა და გადაცვლის ხელშეკრულების სტანდარტული საინფორმაციო ფორმის მიღება

ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი

- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კომპეტენციის გაფართოების უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან

ინსტიტუციური მოწყობა

- სსიპ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, გადახდისუუნარობის რეგულირების მიზნით, ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა/ფუნქციების გადანაწილება

კომპეტენციების გაძლიერება

- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება
- ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით, ტურაგენტებისა და ტუროპერატორებისთვის ცნობიერების ამაღლება

ტურიზმის რეფორმის შეფასების ინდიკატორები

ტურიზმის სექტორის განვითარების ზოგადი ინდიკატორები





წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ტურისტული სერვისების მრავალფეროვნება და მომსახურების მაღალი ხარისხი

საერთაშორისო ვიზიტების წილი ქვეყნების შემოსავლების მიხედვით



ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა და საშუალო დანახარჯი

2022

6.2 ღამე

2,298 ლარი

2019

4.1 ღამე

1,102 ლარი

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, World Bank

ტურისტული სერვისების მრავალფეროვნება

საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯები - რეკრეაციაზე, კულტურულ და სპორტულ აქტივობებზე



საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული აქტივობები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ტურისტული მომსახურების მაღალი ხარისხი და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ გამოყენებული ტურისტული პაკეტების რაოდენობა (ათასი)



საერთაშორისო ვიზიტორების მიერ ტურისტული პაკეტის გამოყენება, 2022



ტურისტული ვიზიტით კმაყოფილება



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გმადლობთ

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

რეფორმეტრი

შენი გზამკვლევი რეფორმებში